ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 679

29 დეკემბერი
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

„შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის" (ს/ნ. 400170907) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი №12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №668 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და შპს „ნიუ ბრენდ"-ის (ს/ნ. 400170907) დირექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის №10/03223623-03 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს „ნიუ ბრენდის" (ს/ნ. 400170907) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ, კორპუსი №12-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.10.07.007.173) მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №668 განკარგულებაში და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის $ა^1$ ქვეპუნქტი:

„$ა^1$) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე."

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე